შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთათვის სერტიფიკატების გადაცემა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ “შემოსავლების სამსახურს” შორის რამდენიმე წელია მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ხორციელდება თანამშრომელთა “ძვირფასი ლითონებისა” და “ძვირფასქვიანი საიუველირო ნაწარმის” შემფასებელთა გადამზადების კუთხით.

10 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით შემოსავლების სამსახურის 15 თანამშრომელმა გაიარა “ძვირფასქვიანი საიუველირო ნაკეთობებისა” და “ძვირფასი ლითონების” შემფასებელთა კურსები (კურსების ხელმძღვანელი - პროფ. ნოდარ ფოფორაძე). კურსდამთავრებულებმა წარმატებით ჩააბარეს სათანადო ტესტირებები და თხუთმეტივე მსმენელს გადაეცა შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით სისტემატურად თანამშრომლობენ სტუ-ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან.



სერტიფიკატების გადაცემას ესწრებოდნენ სტუ-ს რექტორის მოადგილე, პროფ. ზურაბ გასიტაშვილი; ზემოაღნიშნული კურსების ხელმძღვანელი, გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ნოდარ ფოფორაძე; კურსების წამყვანი პედაგოგები, ასოც. პროფ. ხათუნა გაჩეჩილაძე და აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ოლღა სესკურია; საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ირაკლი ვაშაყმაძე. მათ წარმატებები უსურვეს ნიჭიერ და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდებს შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

კურსდამთავრებულებმა ერთხმად აღნიშნეს კურსების ორგანიზებისა და პედაგოგების კვალიფიკაციის მაღალი დონე და მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს მიღებული მნიშვნელოვანი და საჭირო ცოდნის გამო.